

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2021 წლის 27 იანვარი

ქ. ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 დეკემბრის №24 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge; 15/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.138.016420) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე

თავი I

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1.

ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	24 988,6	25 352,6	15 534,1	9 818,5	20 755,1	16 381,2	4 373,9
გადასახადები	10 385,3	13 575,3	13 575,3	-	14 521,8	14 521,8	-
გრანტები	13 090,5	10 679,3	860,8	9 818,5	4 665,1	291,2	4 373,9
სხვა შემოსავლები	1 512,8	1 098,0	1 098,0	-	1 568,2	1 568,2	-
II. ხარჯები	13 556,4	12 665,1	11 448,3	1 176,8	13 593,6	13 498,3	95,3
შრომის ანაზღაურება	2 057,0	1 906,7	1 906,7	-	2 181,0	2 181,0	-
საქონელი და მომსახურება	3 438,2	3 439,7	3 336,0	103,8	2 603,6	2 536,8	66,8



პროცენტი	59.8	77,6	77,6	-	68,6	68,6	-
სუბსიდიები	4 248.1	4 351,3	4 351,3	-	7 078.2	7 078.2	-
გრანტები	201.3	193,9	193,9	-	190,0	190,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	930.1	976,9	976,9	-	991.8	991.8	-
სხვა ხარჯები	2 621.7	1 719,1	646,0	1 073,1	480.5	452.0	28,5
III. საოპერაციო სალდო	11 432,3	12 687,5	4 045,8	8 641,7	7 161,5	2 882.9	4 278,6
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13 458,0	13 063,3	3 917,3	9 146,0	9 855.6	4 429.5	5 426,1
ზრდა	13 598,6	13 205,0	4 059,0	9 146,0	9 995.6	4 569.5	5 426,1
კლება	140,5	141,7	141,7	-	140,0	140,0	-
V. მთლიანი სალდო	-2 025,8	- 375,9	128,4	- 504,3	-2 694.1	1 546.6	-1 147,5
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 085,7	- 495,7	8,6	- 504,3	- 2814.0	-1 666.5	-1 147,5
ზრდა	0,0	8,6	8,6	0,0	0.0	0.0	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	8,6	8,6	0,0	0.0	0.0	-
კლება	2 085,7	504,3	0.0	504,3	2 814.0	1 666,5	1 147,5
ვალუტა და დეპოზიტები	2 085,7	504,3	0.0	504,3	2 814.0	1 666,5	1 147,5
VII. ვალდებულებების ცვლილება	-59,9	- 119,8	- 119,8	-	-119,9	-119,9	-
კლება	59,9	119,8	119,8	-	119,9	119,9	-
საშინაო	59,9	119,8	119,8	-	119,9	119,9	-
სესხები	-	-	-	-	119,9	119,9	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	-	0,0	0,0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	25 129,2	25 494,2	15 675,7	9 818,5	20 895,1	16 521,2	4 373,9



შემოსავლები	24 988,6	25 352,6	15 534,1	9 818,5	20 755,1	16 381,2	4 373,9
არაფინანსური აქტივების კლება	140,5	141,7	141,7	0,0	140,0	140,0	-
გადასახდელები	27 214,9	25 989,9	15 667,1	10 322,8	23 709,1	18 187,7	5 521,4
ხარჯები	13 556,4	12 665,1	11 488,3	1 176,8	13 493,6	13 398,3	95,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	13 598,6	13 205,0	4 059,0	9 146,0	10 095,6	4 669,5	5 426,1
ვალდებულებების კლება	59,9	119,8	119,8	-	119,9	119,9	-
ნაშთის ცვლილება		3 393,4	1 657,1	1 736,3			-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 20 755,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	24 988,6	25 352,6	15 534,1	9 818,5	20 755,1	16 381,2	4 373,9
გადასახადები	10 385,3	13 575,3	13 575,3	-	14 521,8	14 521,8	-
ქონების გადასახადი	1 327,1	3 954,0	3 954,0	-	3 000,00	3 000,00	-
დამატებული ღირებულების გადასახადი	9 058,3	9 621,3	9 621,3	-	11 521,8	11 521,8	-
გრანტები	13 090,5	10 679,3	860,8	9 818,5	4 665,1	291,2	4 373,9
სხვა შემოსავლები	1 512,8	1 098,0	1 098,0	-	1 568,2	1 568,2	-

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 14 521,8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	10 385,3	13 575,3	13 575,3	-	14 521,8	14 521,8	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-



დამატებული ღირებულების გადასახადი	9 058,3	9 621.3	9 621.3	-	11 521,8	11 521,8	-
ქონების გადასახადი	1 327.1	3 954.0	3 954.0	-	3 000,0	3 000,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	818.7	3 280.1	3 280.1	-	2 625,0	2 625,0	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6.3	125,7	125,7	-	1,0	1,0	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	50.8	43,7	43,7	-	22,0	22,0	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	72.8	75.1	75.1	-	47,0	47,0	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	378.4	429.5	429.5	-	305,0	305,0	-

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 4 665.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	13 090.5	10 679,3	4 665,1
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-	190,8	21,2
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	13 090.5	10 679,3	4 643,9
გათანაბრებითი ტრანსფერი	-	-	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	270.0	270,0	270,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	-	190,8	21,2
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	12 820,5	10 218,5	4 373,9
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6 421,8	7 540,0	4 373,9
საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		923,7	-
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	653,3	465,2	-
მიმდინარე ტრანსფერი	244,7	106,8	-
ამბულატორიის მშენებლობის დაფინანსება	751,6	0,0	-
სპეციალური ტრანსფერი (დეფიციტის შევსება)	3 000,0	400,0	-
სტიქია	550,0		-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	587,1	170,8	-
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	612,0	612,0	-



მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1 568,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 512,8	1 098,0	1 568,2
შემოსავლები საკუთრებიდან	508,7	529,6	563,2
პროცენტი	191,0	215,6	260,0
რენტა	317,6	313,9	303,2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	416,1	158,8	378,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	391,1	147,9	348,0
სანებართვო მოსაკრებელი	66,4	19,4	28,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	-	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	128,0	-	120,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	196,7	125,8	200,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25,0	10,9	30,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	502,9	274,3	542,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	85,2	135,3	85,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 13 593,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	13 556,4	12 665,1	11 488,3	1 176,8	13 493,6	13 398,3	95,3
შრომის ანაზღაურება	2 057,0	1 906,7	1 906,7	-	2 181,0	2 181,0	-
საქონელი და მომსახურება	3 438,2	3 439,7	3 336,0	103,8	2 603,6	2 536,8	66,8
პროცენტები	59,8	77,6	77,6	-	68,6	68,6	-



სუბსიდიები	4 248,1	4 351,3	4 351,3	-	7 078,2	7 078,2	-
გრანტები	201,3	193,9	193,9	-	190,0	190,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	930,1	976,9	976,9	-	991,8	991,8	-
სხვა ხარჯები	2 621,7	1 719,1	646,0	1 073,0	480,5	452,0	28,5

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 9 855,6 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა – 9 995,6 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 140,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	371,9	13,7	27,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	371,9	8,8	27,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 363,2	10 806,0	7 709,7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6 862,3	6 548,6	1 592,5
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 669,8	1 225,5	1 360,5
02 03	გარე განათება	292,4	563,7	24,4
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 05	ავარიული შენობებისა და სახლების რეაბილიტაცია	-	-	-
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	-	-	-
02 07	კეთილმოწყობა	1 523,3	1 499,1	4 732,3
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	15,4	1,6	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	88,5	0,0	50,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	88,5	0,0	50,0
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	-	-	50,0
04 00	განათლება	938,5	1 515,7	1 260,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	329,6	23,4	10,0
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	608,8	1 492,2	1 250,5
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	-	-	-



05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	275,1	766,7	815,8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	-	515,4	595,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	275,1	249,6	220,8
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	-	1,8	0,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	586,4	103,0	133,1
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	585,1	103,0	133,1
06 02	სოციალური დაცვა	1,3	0,0	0,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	13 598,6	13 205,0	9 995,6

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	140,5	141,7	140,0
ძირითადი აქტივები	10,7	27,9	12,0
არაწარმოებული აქტივები	129,8	113,8	128,0
მიწა	129,8	113,8	128,0

მუხლი 9.

ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
7 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 424,7	3 067,4	3 647,4
7 1 1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3 424,7	3 067,4	3 647,4
7 1 1 1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 424,7	3 067,4	3 547,4
7 1 1 2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	100,0
7 1 6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	-	-	0,0
7 4	ეკონომიკური საქმიანობა	12 384,4	11 021,6	6 996,8



7 4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	226,8	359,1	380,0
7 4 2 1	სოფლის მეურნეობა	226,8	359,1	380,0
7 4 5	ტრანსპორტი	7 427,0	6 997,8	1 750,2
7 4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7 427,0	6 997,8	1 750,2
7 4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4 730,6	3 664,7	4 866,6
7 5	გარემოს დაცვა	1 312,5	1 590,7	2 158,5
7 5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1 312,5	1 590,7	2 158,5
7 6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2 372,1	2 208,3	1 707,1
7 6 1	ბინათმშენებლობა	0,0	0,0	0,0
7 6 3	წყალმომარაგება	1 523,8	1 202,3	1 345,5
7 6 4	გარე განათება	709,1	1 006,1	354,4
7 6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	139,1	0,0	7,3
7 7	ჯანმრთელობის დაცვა	739,9	287,5	327,6
7 7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	739,9	184,5	230,1
7 7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	103,0	97,5
7 8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 884,3	2 370,3	2 710,4
7 8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 415,0	1 465,2	1 806,6
7 8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	469,4	905,1	903,8
7 9	განათლება	3 892,9	4 174,8	4 925,8
7 9 1	სკოლამდელი აღზრდა	2 918,5	3 068,6	4 159,3
7 9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	974,4	1 106,2	766,5
7 10	სოციალური დაცვა	1 095,9	1 269,3	1 235,5
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	726,4	691,3	710,5
7 10 11	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	605,0	556,3	555,0
7 10 12	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	121,4	135,0	155,5
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	2,9	5,3	13,0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	83,0	85,0	87,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	282,3	487,8	425,0
	სულ	27 214,9	25 989,9	23 709,1



მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -2 694,1 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 7 261,5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	11 432,3	12 687,5	2 957,5
მთლიანი სალდო	-2 025,8	-375,9	119,9

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს – 2814,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 085,7	-495,7	-2814,0
ზრდა	0,0	8,6	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	8,6	0,0
კლება	2 085,7	504,3	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	2 085,7	504,3	2814,0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 119,9 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 839 430,0 ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 662 219,0 ათასი ლარი.

თავი II

ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 329,0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა



02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8 703,9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 757,6
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	165,0
02 01 02	ახალი გზების მშენებლობა	1 585,3
02 01 03	ნაპირსამაგრი სამუშაოები	7,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 725,5
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება	
02 02 03	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	1 345,5
02 02 04	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანირება	380,0
02 03	გარე განათება	354,4
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	330,0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	24,4
02 07	კეთილმოწყობა	4 866,6
02 07 01	საკადასტრო აზომვითი ნახაზები, ესკიზებისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	534,4
02 07 02	შენობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია	1 827,1
02 07 03	პარკებისა და სკვერების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2 371,6
02 07 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	133,5
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	0,0
02 08 01	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		1 757,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მომავალი წლებში რეაბილიტაციისთვის საჭირო პროექტების შესყიდვა და რეაბილიტირებული პროექტების ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალი გზების მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		1 585,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, გზების, ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება.	
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში საავარიო სიტუაციების შემცირება, მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1 725,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.</p> <p>ქვეპროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალციხეში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. ექსპლუზიური პროგრამის მიზანია ახალციხის ტერიტორიაზე მყოფი მოხეტიალე, უპატრონო და მიკედლებული ცხოველების სტერილიზაცია, კასტრაცია, დაბირკვა, ცოფის საწინაარმდეგო ვაქცინაცია.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი;</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;</p> <p>წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		1 345,5



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება;
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე; წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების და ხელოვნური ტბის მოვლა- შენახვა-რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 04		380.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანიერება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია; მოქმედი სარწყავი სისტემების მოვლა-შენახვა; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა, სამელიორაციო სისტემების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია; ხელოვნური ტბის მოვლა- პატრონობა და განვითარება.</p> <p>ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალესა და 14 თემში 11 სატუმბო სადგურის და 40 კმ. სარწყავი არხის მოვლა- რეაბილიტაცია, ბუნებრივი სარწყავი არხებით და მექანიკური სატუმბო სადგურების საშუალებით სარწყავი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენების, რეზერვუარების მოწყობა და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია, ტექნიკურად გამართული ფუნქციონირებისთვის ზრუნვა და ზედამხედველობა.</p> <p>ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანიერებას“ მიერ ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნური ტბის გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, ქალაქ ახალციხის გარეუბნის ტბის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, განვითარება და ტურისტული გარემოს შექმნა. ექსკლუზიური პროგრამის მიზანია ახალციხის ტერიტორიაზე მყოფი მოხეტიალე, უპატრონო და მიკედლებული ცხოველების სტერილიზაცია, კასტრაცია, დაბირკვა, ცოფის საწინაარმდეგო ვაკცინაცია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობა, გაიზრდება მელიორირებული მიწების ფართობები, გაუმჯობესდება სარწყავი (საირიგაციო) სისტემები, განხორციელდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიზნით წყალსაცავების, სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები. განვითარდება ქალაქ ახალციხის ხელოვნური ტბის ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესდება გაჯანსაღების და დასვენების ეფექტური პირობები. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება უკეთესი სამუშაო პირობებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		354.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს		



შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ზომს, 6500-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 252,4 ათის ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.

პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;
- გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა.

გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).

ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.

2020 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია როგორც გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე, ასევე ახალი წერტილების მოწყობისათვის, ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით, ასევე საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით.

მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		4 866,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს არსებული ინფრასტრუქტურა, მოსახლეობისათვის შეიქმნას სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მოწესრიგებული საყოფაცხოვრებო პირობები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08 01		0.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, - სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; - სასაფლაოების დაცვას მოთარეშე პირუტყვისაგან;
მოსალოდნელი შედეგი	შეკეთდება და შეიღობება სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთები, შეკეთდება შესასვლელი ჭიშკრები;

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 870,0 ათასი ლარი. დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 970,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	450,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		450.0
პროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაცვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ისეთი ხარჯები როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 9 ნაგავმზიდი.		
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება		

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
03 02	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	1 520,0

პროგრამის	კოდი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	



დასახელება	03 02	1 520.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალციხის სერვის ჯგუფი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის გზების მოვლა-პატრონობა, გარე განათების ექსპლუატაცია, მოვლა-შენახვა, მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის დასუფთავება, რაც თავის მხრივ მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვას, ნარჩენების შეგროვებას და გატანას. მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ისეთი ხარჯები როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგვის გატანაზე მუშაობს 9 ნაგავზიდი.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემო და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება	

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4 586,8 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	4 586,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3 250.0
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	3 250.0
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 316,8
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	909,3
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	407,5
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	20,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3 250,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება		
	„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2020 ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 437 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2020-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს.</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		1 316.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამიდან ფინანსდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯები, ამასთანავე მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები პატარების განათლების დონის ამაღლება და მოსახლეობის დასაქმებისთვის ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		20.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წარმატებული სტუდენტების დაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიებით. ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა, წახალისება და მოტივაციის ამაღლება.
მოსალოდნელი შედეგი	მეტი წარმატებული და მოტივირებული სტუდენტი

მუხლი 16.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 049,4 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 049,4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 292,5
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	150,0
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	595,0
05 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა	332,5
05 01 04	ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი	215,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 567,9
05 02 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	448,0
05 02 02	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სახელოვნებო დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	231,0
05 02 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სახელოვნებო დაწესებულება ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა	52,1
05 02 04	ა(ა)იპ ახალციხის ციხე	333,0
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	195,0
05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	208,8
05 02 09	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	74,0
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	74,0
05 04	თეატრები	100,0



05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	15,0
-------	--	------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის სპორტული პროგრამების განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:</p> <p>სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;</p> <p>წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება ფულადი საჩუქრით.</p> <p>სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების ორგანიზება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.</p> <p>პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა და მასში ახალგაზრდების მასიური ჩართულობა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. მეტი ახალგაზრდა და წარმატებული და მოტივირებული სპორტსმენი.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		595,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კომპლექსური სასპორტო ღონისძიებების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		332,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა		
	<p>ქვეპროგრამა აერთიანებს სპორტის 13 სახეობის სპორტულ კლუბს - ძალოსნობა, კრივი, ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, კიკბოქსინგი, ველოსპორტი, ჭადრაკი, ძიუდო, ტაეკვანდო, მკლავჭიდი და მშვილდოსნობა. სპორტულ სასწავლო პროგრამაში ჩართულია 400 -მდე აღსაზრდელი და 23 მწვრთნელი (პედაგოგი), სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, ნორჩი სპორტსმენები მონაწილეობენ ადგილობრივ, საქალაქთაშორისო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში,</p>		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია: ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, ახალგაზრდების მომზადება და მონაწილეობა ადგილობრივ, საქალაქთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებსა და ოლიმპიადებში. წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება და სათანადო ხელშეწყობა მათი უკეთესი მომზადებისათვის. რაიონული სპორტული ღონისძიებების მომზადება, ამასთანავე ხელშეწყობა, რათა სასპორტო სკოლის უფრო მეტმა სპორტსმენმა მიიღოს მონაწილეობა მუნიციპალიტეტის გარეთ საქალაქთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. მუშაობა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოფლებში, სკოლებში, უბნებში რათა უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს და ჩაერთოს სპორტის სხვადასხვა სახეობებში.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის სხვადასხვა სახეობაში ადგილობრივ, საქალაქთაშორისო და რესპუბლიკური რანგის შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა. სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება, გაუმჯობესება და სპორტსმენთა აღჭურვა სპორტული ინვეტარითა და ფორმებით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალაქ ახალციხეში მძლეოსნობის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 04		215,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ ახალციხის ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მძლეოსნობა, როგორც მასობრივი სპორტული სახეობა, ფიზიკური განვითარების საუკეთესო საშუალებაა მოსახლეობისათვის ნებისმიერ ასაკში. ეს არის ტრადიციული სპორტი, რომელიც სჭირდება ყველა სპორტის სახეობას და მის განვითარებას. მძლეოსნობის სპორტული კლუბის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მეტი ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა, სპორტსმენ მძლეოსანთა პროფესიული მომზადება და შეჯიბრებებში (ადგილობრივი ღონისძიებები, საერთაშორისო და რეგიონალური შეჯიბრებები, ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები) მონაწილეობა ერთგვარი სტიმული იქნება ახალგაზრდების ყოველდღიური აქტიური ცხოვრებისთვის. ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი უზრუნველყოფს ადგილობრივი, რეგიონალური და საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებას, ნიჭიერი მძლეოსნების გამოვლენასა და მათ დაჯილდოებას სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრებით, მედლებით, სიგელებითა და ფულადი ჯილდოებით. ახალციხის მძლეოსნობის სპორტულ კლუბში ფუნქციონირებს მძლეოსნობის ხუთი ჯგუფი და დღეის მდგომარეობით აღნიშნულ გუნდებში ირიცხება 75 მძლეოსანი, რომლებიც ემზადებიან ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ყველაფერი შეუწყობს ხელს უფრო მეტი ადამიანების ჩართულობას სპორტში.</p> <p>სპორტული კლუბი სისტემატურად ზრუნავს კლუბის მოედნის, ბილიკების და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე.</p> <p>პროგრამის განმახორციელებელი მიზნად ისახავს დაიცვას გენდერული თანასწორობა - თანაბრად შეუწყოს ხელი როგორც გოგონების, ასევე ვაჟების დაინტერესებას, ხელშეწყობას და მოზიდვას. იგეგმება მწვრთნელების და ბავშვთა რაოდენობის გაზრდა.</p> <p>კლუბის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია, სპორტსმენების აღზრდა-განვითარება, ოლიმპიური, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიების მოპოვება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გავლითი სპორტული შეჯიბრებები. მეტი წარმატებული სპორტსმენი,</p> <p>სპორტული უნიფორმით შემოსილი მძლეოსნები. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ადმინისტრაციულ შენობაში.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		448,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი - 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა-მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი , ფოლკლორული ანსამბლი „ მესხეთი“.</p> <p>კულტურის სახლებში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა შემოქმედებითი წრეები: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, მუსიკალური. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 900 ალსაზრდელი. კულტურის სახლების წლიური დაფინანსება შეადგენს 105550 ლარს. ფოლკლორული ანსამბლი, რომლის წლიური დაფინანსება შეადგენს 51000 ლარს, შედგება 12 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში.</p> <p>სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების, თექის გამოყვანის ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 400-მდე ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. წლიური დაფინანსება შეადგენს 18640 ლარს. მუზეუმი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში. აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფოლკლორულ ფესტივალებში, რომელიც ხელს უწყობს ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციას.</p> <p>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 127 160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 20 000 მოსახლე. წლიური დაფინანსება შეადგენს 133 410 ლარს. ბიბლიოთეკებში მკითხელის რაოდენობის ზრდას განაპირობებს სისტემატური ღონისძიებები, თანამედროვე მწერლების ახალი წიგნების პრეზენტაციები და ამასთანავე კლასიკური მწერლების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.</p> <p>გაერთიანებაში შემავალი 13 ახალგაზრდული ცენტრი ემსახურება ტრადიციული კულტურის პოპულარიზაციას, ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდების გამოვლენა-წარმოჩინებას. წლიური დაფინანსება შეადგენს 62 100 ლარს.</p> <p>კულტურის გაერთიანებაში შემავალი ყველა ობიექტის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას კონტროლს და მეთოდურ მითითებებს უწევს ადმინისტრაციული პერსონალი. წლიური დაფინანსება შეადგენს- 97600 ლარს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა, კულტურის დონის ამაღლება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება . კულტურის სახლები და ახალგაზრდული ცენტრები სრულად აკმაყოფილებენ ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და მუსიკალურ წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების და მოზარდების მოთხოვნას, რაც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ბავშვების და მოზარდების რეალიზებას ადგილზე, მოზარდების ნაკლებ მიგრაციას ქალაქში. ბიბლიოთეკები (განახლებული ახალი წიგნადი ფონდით) და მუზეუმი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	05 02 02	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	231,0
		<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას იღებს 338 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 52 პედაგოგი და 17 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 3 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო და საორკესტრო. სკოლაში სწავლა ფასიანია, თუმცა არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სწავლის გადასახადი მინიმალურია, სკოლა საჭიროებს სუბსიდირებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სუბსიდია შეადგენს სკოლის მთლიანი გადასახდელების 70%-ზე მეტს. პროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს</p>	



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება. სამუსიკო სკოლები ხელს უწყობენ და აძლევენ შესაბამის განათლებას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღებას.</p> <p>სისტემატურად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება, რათა ამაღლდეს მათი შესაძლებლობები და ერთნაირად იზრუნონ ყველა ბავშვზე, მათ შორის შშმ მოსწავლეებზე. პროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულმა ბავშვმა მიიღოს დაწყებითი მუსიკალური განათლება. მოხდეს ეროვნული უმცირესობის მუსიკალური ცნობიერების ამაღლება, რათა სკოლის ასაკიდანვე ეზიარონ ქართულ მუსიკას. მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში. პედაგოგთა მაღალი შემოქმედებითი აქტივობის შედეგად გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი მოსწავლე, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებებს რეგიონის, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონკურსებში.</p> <p>სამუსიკო სკოლების პედაგოგები ვერ სარგებლობენ „პედაგოგის სტატუსით“, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ განხორციელებული პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების სპეციალური პროგრამებით, როგორცაა პედაგოგთა ჯანმრთელობის დაზღვევა, დანამატი მაღალთმიან დასახლებაში დასაქმებული პედაგოგებისათვის, პედაგოგთა სერტიფიცირების შედეგად ხელფასის ზრდა და სხვა. ამდენად, პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, რათა მოხდეს სკოლებში მაღალი დონის სპეციალისტების შენარჩუნება და ახალგაზრდა თაობისათვის სკოლაში მუშაობის დაწყების მოტივაციის ამაღლება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუსიკალური განათლება ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისთვის, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 5%-ით. მაღალია მუსიკალური კულტურა, მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მუსიკალური ფესტივალები და კონკურსები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონსკურსებსა და ფესტივალებზე. მნიშვნელოვნად ამაღლებულია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		52,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>მომავალი თაობების აღზრდაში ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს მომავალი თაობების კულტურულ და ესთეტიკურ აღზრდას, ქვეპროგრამის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა სწავლის დონის განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნა. აღნიშნული დაწესებულების ვალდებულებაა სასწავლო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება, სამუშაო ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებაზე, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგება. შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		<p>იზრდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები, შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მოსწავლეების სახელოვნებო კულტურის დონე. გამოფენებში და ფესტივალებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა, ხელი ეწყობა უფრო მეტი საპრიზო ადგილის მოპოვებას.</p> <p>გამართული ადმინისტრაციის ფუნქციონირება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	„ახალციხის ციხის“ როგორც ტურისტული ობიექტის განვითარებისა და მოვლა - პატრონობის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		333,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ახალციხის ციხე
